№241 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტს“ შორის 2013 წლის 12 სექტემბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობასა და შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტს“ შორის 2013 წლის 12 სექტემბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე და აღნიშნული მემორანდუმი მიჩნეულ იქნეს შეწყვეტილად ამავე მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა ჰიდროელექტროსადგურის ნაწილში, მემორანდუმის 6.2 პუნქტის „b.a“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტისთვის“ მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**